

სსიპ გორის უნივერსიტეტი

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი



სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

**ტურიზმის განვითარების პერსპექტივები
საქართველოში**

8 აპრილი, 2010, გორი, საქართველო

www.gu.edu.ge



კონფერენციის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებს გამოავლინონ თავიანთი კვლევის უნარ-ჩვევები, გაუზიარონ ერთმანეთს შეხედულებები, ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის საკუთარი ხედვა.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს.

საკონფერენციო თემა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი ან ორი ავტორის მიერ.

დაუშვებელია ერთი და იგივე სტუდენტის მიერ ორზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა.

კონფერენციის ძირითადი მიმართულებებია: კულტურული ტურიზმი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, ეკოლოგიური ტურიზმი, სპელეოლოგიური ტურიზმი, აგროტურიზმი, სასოფლო ტურიზმი; რელიგიური ტურიზმი, საზღვაო ტურიზმი, სამონადირეო ტურიზმი, შოპ-ტურიზმი, საკონგრესო ტურიზმი, სასწავლო ტურიზმი, საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი ტურიზმის ბიზნესის განვითარებაში.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველმა თეზისები და სტუდენტის პირადი მონაცემების შევსებული ფორმა (იხ. დანართი 2) უნდა გადმოგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე: g.kazishvili@gmail.com. თეზისების მომზადებაში გარკვეულ დახმარებას გაგიწევთ დანართი 1-ში მოცემული ინსტრუქცია (იხ. დანართი 1 "რეკომენდაციები თეზისის სტრუქტურასთან დაკავშირებით").

სამეცნიერო ნაშრომის თეზისიდან გამომდინარე, კონფერენციის საორგანიზაციო კომისია უფლებამოსილია სამეცნიერო ნაშრომის ავტორს უარი უთხრას კონფერენციაში მონაწილეობაზე.

შერჩეული ნაშრომების ავტორებმა კონფერენციისთვის უნდა მოამზადონ 5-10 წუთიანი ზეპირი გამოსვლა.

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომები დაიბეჭდება. თეზისების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 19 მარტი, 17 სთ.

გისურვებთ წარმატებებს.



საყურადღებო თარიღები და შეფასების კრიტერიუმები

საყურადღებო თარიღები

22 თებერვალი, 2010 წ. - კონფერენციის გამოცხადება

19 მარტი, 2010 წ. 17 სთ. - სტუდენტის პირადი მონაცემების შევსებული ფორმისა და თეზისების მიღების ბოლო ვადა

26 მარტი, 2010 წ. - კომისიის მიერ შერჩეული თეზისების ავტორების დასახელება

2 აპრილი, 2010 წ. 17 სთ. - საკონფერენციო ნაშრომის წარდგენის ბოლო ვადა

8 აპრილი, 2010 წ. - კონფერენცია

სამეცნიერო მოხსენების შეფასების კრიტერიუმებია:

- ორიგინალურობა, შემოქმედებითი მიდგომა აქტუალური პრობლემების შეფასებასა და გადაწყვეტაში;
- წერილობითი ფორმით წარმოდგენილი ნამუშევრის შესრულების ხარისხი;
- ნაშრომის პრეზენტაციისა და დისკუსიის გამართვის უნარი;
- ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა.



დანართი 1

რეკომენდაციები თეზისის სტრუქტურასთან დაკავშირებით

აღნიშნული კონფერენციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სტუდენტებისათვის დამოუკიდებელი მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაა.

ვიდრე საკონფერენციო განაცხადის (თეზისის) მომზადებას შეუდგებოდეთ, გთხოვთ, გაეცნოთ რეკომენდაციებს მისი სტრუქტურისა და ფორმის შესახებ.

ყურადღება: თეზისში უნდა მიუთითოთ მხოლოდ თემის დასახელება, თეზისში არ მიუთითოთ გამოყენებული ლიტერატურა.

თეზისი A 4 ფორმატის ერთ გვერდს არ უნდა აღემატებოდეს. თეზისი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს: Microsoft word, ფონტი Sylfaen, ზომა #11, ინტერვალი 1, გვერდის პარამეტრები: ზევით, ქვემოთ და მარჯვნივ 2 სმ, მარცხნივ 3 სმ). (იხ. დანართი 4 - თეზისის ნიმუში).

თეზისი თქვენი სამეცნიერო კვლევის ერთგვარი გეგმაა, სადაც მოკლედ და აღწერილი თქვენი სამეცნიერო მოხსენების მთავარი მიზანი - ჩამოყალიბებულია საკითხი და მოყვანილია მისი დამამტკიცებელი არგუმენტები. თეზისი სასურველია პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

- რა არის საკონფერენციო მოხსენების მთავარი არსი?
- რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია თქვენს მიერ არჩეული საკითხის თქვენეული ხედვა, მისი გადაწყვეტის გზები? რა მნიშვნელობა აქვს თქვენს მოხსენებას და რით დააინტერესებთ კონფერენციის მსმენელებს?
- რა არგუმენტებს მოიშველიებთ თქვენი აზრის დასამტკიცებლად?
- კვლევის რომელ მეთოდებს და რა წყაროებს გამოიყენებთ მოხსენების მომზადებისას?

თეზისები სტუდენტის პირადი მონაცემების შევსებულ ფორმებთან ერთად 2010 წლის 19 მარტის 17 საათამდე უნდა გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: g.kazishvili@gmail.com



დანართი 2

სტუდენტის პირადი მონაცემების ფორმა

სახელი, გვარი: _____

თემის სათაური: _____

უმაღლესი სასწავლებლის დასახელება: _____

სწავლის საფეხური: ბაკალავრიატი მაგისტრატურა დოქტორანტურა პროფესიული უმაღლესი

სპეციალობა: _____

სწავლების წელი: _____

მისამართი: _____

ტელეფონის ნომერი: _____

ელ-ფოსტის მისამართი: _____

ხელმძღვანელის გვარი, სახელი,
თანამდებობა: _____

სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (გთხოვთ დაასახელოთ
კონკრეტულად რომელ კონფერენციებში გაქვთ მიღებული მონაწილეობა)



დანართი 3

რეკომენდაციები საკონფერენციო ნაშრომის სტრუქტურისადმი

კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის მიერ შერჩეული თეზისების ავტორებმა კონფერენციაზე უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო ნაშრომი.

ნაშრომის თავფურცელი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ავტორის უმაღლესი სასწავლებლის დასახელება, ფაკულტეტი, სპეციალობა და სწავლების წელი; ხელმძღვანელის სახელი, გვარი და თანამდებობა, თარიღი.

სამეცნიერო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს შემდეგი პარამეტრების დაცვით: ფორმატი: A 4, მოცულება: არაუმეტეს 8 გვერდი, Microsoft word, ფონტი Sylfaen, ზომა #11, ინტერვალი 1,5, გვერდის პარამეტრები: ზევით, ქვემოთ და მარჯვნივ 2 სმ, მარცხნივ 3 სმ).

თეზისის მსგავსად ნაშრომში უნდა იყოს:

- მთავარი თეზისი, რომლის დამტკიცებაც თქვენს მიზანს წარმოადგენს;
- მკაფიოდ ჩამოყალიბებული ავტორის პოზიცია;
- ლოგიკურად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული არგუმენტები;
- გათვალისწინებული შესაძლო კონტრარგუმენტები.

მნიშვნელოვანია ლიტერატურული წყაროების სწორად გამოყენება და სქოლიოების სწორი გაფორმება. თუ თქვენ საკუთარ ნაშრომში გამოიყენებთ სხვა ნაშრომში მოყვანილ მონაცემებს ან მოსაზრებებს, მაშინ აუცილებელია დაიმოწმოთ შესაბამისი წყარო.

თემების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მისამართზე: g.kazishvili@gmail.com

თემის წარდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 2 აპრილი, 17 სთ.

გვჯერა ღირსეულად გაართმევთ თავს ამ ამოცანებს.

გისურვებთ წარმატებებს.



(თეზისის ნიმუში)

დანართი 4

საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებები საქართველოში

- საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებასთან ერთად შეიქმნა საინვესტიციო პოლიტიკის გააქტიურების აუცილებლობა. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისათვის ეფექტური საინვესტიციო პროექტების განხორციელება ერთ-ერთი მთავარი პირობაა.
- საქართველოში, ბოლო პერიოდში, მრავალი უცხოური ინვესტიცია შემოდის. უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი ძირითადი კაპიტალის შეძენისათვის და აქ ეკონომიკური საქმიანობისთვის შემოვიდა, ინვესტიციების შემოსვლა დაკავშირებულია აგრეთვე მიმდინარე პრივატიზების და ქონების გაყიდვა-გასხვისების პროცესთან.
- საქართველოს ხელისუფლების მტკიცებით, 2006 წელი რეკორდული იყო ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის თვალსაზრისით. ინვესტიციებმა დაახლოებით 1 მილიარდ 200 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ინვესტიციების დიდი ნაწილი ამერიკული და ევროპული წარმომავლობის იყო.
- საქართველოში ფასიანი ქაღალდების ანუ სასესხო კაპიტალის ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ქვეყანაში არსებული სააქციო საზოგადოებებიდან 60%-ზე მეტი ნორმალურად არ ფუნქციონირებს, თუმცა, 2007 წლის 27 თებერვლის მდგომარეობით ქართულ საფონდო ბირჟაზე „საქართველოს ბანკის“ აქციათა საშუალო ფასმა 50,376 ლარი შეადგინა. 2006 წელთან შედარებით იგი 504 % გაიზარდა.
- დღის წესრიგში დგება უცხოური ინვესტიციების რაციონალური გამოყენება. ისინი ქვეყანაში სწორად უნდა იქნას განაწილებული პრიორიტეტული დარგების აღორძინებისა და განვითარებისათვის.